საზოგადოება

განათლების ინტერნაციონალი პედაგოგთა პროფკავშირის ახლად არჩეულ პრეზიდენტს გამარჯვებას ულოცავს

20:11 03-11-2010

განათლების ინტერნაციონალი პედაგოგთა პროფკავშირის ახლად არჩეულ პრეზიდენტ მაია კობახიძეს გამარჯვებას ულოცავს .

როგორც "ინტერპრესნიუსს" პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირიდან აცნობეს, განათლების ინტერნაციონალი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 30 მილიონ მასწავლებელს აერთიანებს, პროფკავშირს ახალი პრეზიდენტის არჩევას ულოცავს და ინფორმაციას საქართველოს პედაგოგთა პროფკავშირში ჩატარებულ დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს.

"პედაგოგთა პროფკავშირის რიგგარეშე ყრილობას ესწრებოდა განათლების ინტერნაციონალის მისია გენერალური მდივნის ფრედ ვან ლოუვენის, მთავარი კონსულტანტის გასტონ დე ლა ჰეის და ამერიკის მასწავლებელთა ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის დევიდ დორნის შემადგენლობით. საერთაშორისო სტუმრებმა ყრილობასთან დაკავშირებით ანგარიში უკვე მოამზადეს, სადაც ყრილობაზე მიმდინარე პროცესები დეტალურად არის აღწერილი", _ აცხადებენ პედაგოგთა პროფკავშირში.

პროფკავშირის ინფორმაციით, მიუხედავად რგგარეშეEყრილობაზე მომხდარი ინციდენტისა, განათლების ინტერნაციონალი აღიარებს პრეზიდენტის კანონიერად არჩევის ფაქტს და ახლად არჩეული პრეზიდენტის მიმართ სრულ მხარდაჭერას გამოხატავს.

პედაგოგთა პროფკავშირის მე-6 რიგგარეშე ყრილობაზე დლეგატების ნაწილმა ყრილობა დატოვა და პრეზიდენტობის ერთადერთ კანდიდატს მაია კობახიძეს უნდობლობა გამოუცხადა.

მასალის გამოყენების პირობები